Gardabani Municipality Preschool Educational Institution
Digitally signed by Gardabani Municipality Preschool Educational Institution
Date: 2019.09.04 10:14:56 +04'00'

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება № 29

ქ.გარდაბანი

4 სექტემბერი 2019 წელი

ერთი მხრივ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება (მის: ქ. გარდაბანი ინდ. 1300 დ. აღმაშენებლის ქ. №127), წარმოდგენილი მისი დირექტორის ჯემალ დავითაძის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ, სსიპ „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია“ (შემდგომში „მომწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის, ირაკლი გულედანის სახით სახელმწიფო შესყიდვების კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]“ქვეპუნქტის თანახმად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1 ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში - ,,ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 ,,ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 ,,დღე“. ,,კვირა“, ,,თვე“-კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 ,,შემსყიდველი“- ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 ,,მიმწოდებელი“ - პირი, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.6 ,,მხარე“ - ,,შემსყიდველი“ ან/და ,,მიმწოდებელი“.

1.7 ,,მომსახურება“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

ა.(ა).ი.პ. გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების 29 ბაგა-ბაღში ლაბორატორიული მომსახურების (ეშერიხია კოლი (სასმელ წყალში); მეზოფილური აერობები და ფაკულტატური ანაერობები; საერთო კოლიფორმული ბაქტერიები(სასმელი წყალი)) ჩატარება დანართი #1 შესაბამისად.
(CPV-71900000)

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 1972.00 (ერთი ათას ცხრაას სამოცდათორმეტი) ლარს.

3.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს ,,მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმები დავადები

4.1 ,,მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2 ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ,,მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დამადასტურებელი შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშფაქტურის ან ზედნადების საფუძველზე.

4.3 ანგარიშსწორების ვადა: 4.2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 კალენდარული დღე.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 ,,მიმწოდებლის" მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება ჩაითვლება შესრულებულად შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის დღიდან.

5.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელს აწერს გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზდელო დაწესებულების დირექტორი ჯემალ დავითაძე ხოლო მიმწოდებლის მხრიდან სსიპ „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია"-ს ნიმუშების რეგისტრაციის და სტატისტიკური დამუშავების განყოფილების უფროსი - მარინე სოსელია.

5.3 მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს:

ა) ,,მიმწოდებლის" მიერ შესრულებული ვალდებულების დასახელება;

ბ) ,,მიმწოდებლის" მიერ შესრულებული ვალდებულების ღირებულება;

გ) ,,მიმწოდებლის" მიერ შესრულებული ვალდებულების აღწერა.

6. მომსახურების გაწევის ვადა

6.1 მომსახურება უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს 2019 წლის 30 სექტემბრისა.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 ,,შემსყიდველი" უფლემაბოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს ,,მიმწოდებლის" მიერ ნაკისრი ველდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) არ ჩაიბაროს უხარისხოდ გაწეული მომსახურება.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ,,მიმწოდებლის" მხრიდან ხელშეკრულების საგნით ნაკისრი, შესრულებული ვალდებულების ღირებულების ანაზღაურება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

7.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულების საგნით ნაკისრი, შესრულებული ვალდებულების ღირებულების ანაზღაურებახელშეკრულებითგათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) სრულიად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზდელო დაწესებულების აპარატის უფროსი გულიკო ავალიანი.

8.2 ინსპექტირების გამწევის ფუნქციები:

ა) ,,მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ხარისხსა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება.

ბ) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ,,მიმწოდებელთან" ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

გ) ,,მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი შესრულებული ვალდებულების ნაკლოვანებებს ინსპექტირების გამწევი აფიქსირებს ოქმით. დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება ,,მიმწოდებლის“ მიერ საკუთარი ხარჯებით.

8.3,,მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისას გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრათან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება ,,მიმწოდებელს“ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშერულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1 ,,მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, ,,მიმწოდებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1% -ის ოდენობით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურებაან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით ,,მიმწოდებლისათვის“ გადასახდელი თანხიდან.

9.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისიწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილო წესით.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5 მხარე ვალდებულია 10.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები თავისფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გაწეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მეორე მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების დასაწყისში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

შემსყიდველი	მიმწოდებელი
გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება საიდენტიფიკაციო კოდი: # 226574962 სს,,ლიბერთიბანკი” ბ/კ№ LBRTGE22 ანგარიშსწორების ანგარიში: # GE80LB0115154067002000 გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორი:	სსიპ „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია“ მისამართი: თბილისი, გოძიაშვილის ქ. #49 საიდენტიფიკაციო ნომერი: 205162802 მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი: TRESGE22
მის: ქ. გარდაბანი ინდ. 1300 დ. აღმაშენებლის ქ. #127	სსიპ „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის“დირექტორი

laboratory of ministry of Agriculture of Georgia

Digitally signed by laboratory of ministry of Agriculture of Georgia
Date: 2019.09.04 10:46:48 +04'00'

ჯემალ დავითაძე

ირაკლი გულედანი

დანართი #1

#	მომსახურეობის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი(ლარი)	ღირებულება
1	ეშერიხია კოლი (სასმელ წყალში)	29	40.00	1160.00
2	მეზოფილური აერობები და ფაკულტატური ანაერობები	29	8.00	232.00
3	საერთოკოლიფორმული ბაქტერიები (სასმელი წყალი)	29	20.00	580.00
ჯამი				**1972.00**

შემსყიდველი	მიმწოდებელი
გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება მის: ქ. გარდაბანი. ინდ. 1300 დ. აღმაშენებლის ქ. №127 საიდენტიფიკაციო კოდი:: № 226574962 სს„ლიბერთიბანკი" ბ/კ№ LBRTGE22 ანგარიშსწორების ანგარიში № GE80LB0115154067002000	სსიპ „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია" მისამართი: თბილისი, გოძიაშვილის ქ. #49 საიდენტიფიკაციო ნომერი: 205162802 მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი: TRESGE22
გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორი	სსიპ „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის"დირექტორი
ჯემალ დავითაძე	*ირაკლი გულედანი*

ბაგა-ბაღების ჩამონათვალი

№	ბაგა-ბაღების დასახელება	წარმომადგენლები	ბაგა-ბაღების მისამართები	საკონტაქტო ნომერი
1	გარდაბნის №1 ბაგა-ბაღი	ნეიმატოვა საბინა	მუსტაფაევის ქ. №5	595 05-73-36
2	გარდაბნის №2 ბაგა-ბაღი	გოგბაიძე მანანა	ლესელიძის ქ. №1	595 05-73-37
3	გარდაბნის №3 ბაგა-ბაღი	ჩხუტიაშვილი მარინა	დ. აღმაშენებლის ქ. №5	595 05-73-38
4	გარდაბნის №4 ბაგა-ბაღი	ჩკუასელიძე ნანა	დ. აღმაშენებლის ქ. №129	595 05-73-39
5	გარდაბნის №5 ბაგა-ბაღი	გულბანი ნანი	ლელაშხას დასახლება	595 05-73-41
6	სართიჭალის №1 ბაგა-ბაღი	მჭედლიშვილი მაია	სოფ. სართიჭალა	595 05-73-43
7	სართიჭალის №2 ბაგა-ბაღი	ლურსმანაშვილი ნინო	სოფ. სართიჭალა	595 05-73-44
8	მუღანლოს ბაგა-ბაღი	მამედოვა მამუშა	სოფ. მუღანლო	595 05-73-56
9	ვახტანგისის ბაგა-ბაღი	თხილავა ირმა	სოფ. ვახტანგისი	595 05-73-42
10	ნორიოს ბაგა-ბაღი	ბარბაქაძე მარინა	სოფ. ნორიო	595 05-73-53
11	გამარჯვების №2 ბაგა-ბაღი	გელაშვილი ირინა	სოფ. გამარჯვება	595 05-73-58
12	მარტყოფის №1 ბაგა-ბაღი	იობაშვილი მარიკა	სოფ. მარტყოფი	595 05-73-46
13	მარტყოფის №2 ბაგა-ბაღი	დილებაშვილი მარიამი	სოფ. მარტყოფი	595 05-73-47
14	კრწანისის ბაგა-ბაღი	მეფარიშვილი ციცო	სოფ. კრწანისი	595 05-73-59
15	ახალსოფლის ბაგა-ბაღი	ჩადუნელი მარინა	სოფ. ახალსოფელი	595 05-73-54
16	ზემო თელეთის ბაგა-ბაღი	ფერიაშვილი დიანა	სოფ. ზემო თელეთი	595 05-73-48
17	ახ. სამგორის ბაგა-ბაღი	მძელური რიტა	სოფ. ახალი სამგორი	595 05-73-61
18	საცხენისის ბაგა-ბაღი	ცისკარიშვილი ია	სოფ. საცხენისი	595 05-73-63
19	მზიანეთის ბაგა-ბაღი	ოქროაძე ნანა	სოფ. მზიანეთი	595 05-73-60
20	ლემშვენიერას №1 ბაგა-ბაღი	იოსელიანი ნათია	სოფ. ლემშვენიერა	558 39-54-33
21	ლემშვენიერას №1 ბაგა-ბაღი	აფრასიძე კატო	სოფ. ლემშვენიერა	599 12-74-76
22	ვაზიანის ბაგა-ბაღი	ნოზაძე სოფიკო	სოფ. ვაზიანი	557 40-48-46
23	ნაგების ბაგა-ბაღი	ტეტუნაშვილი ლალი	სოფ. ნაგები	599 06-67-23
24	გამარჯვება №3 ბაგა-ბაღი	ნინო ხელაშვილი	სოფ. გამარჯვება	579 28-54-81
25	ქესალოს ბაგა-ბაღი	იშვა ხიალოვა	სოფ. ქესალო	599 02-16-96
26	ნაზარლოს ბაგა-ბაღი	გულნარა ნასიბოვა	სოფ. ნაზარლო	599 39-89-68
27	ყარაჯალარის ბაგა-ბაღი	ხატირა ისაევა	სოფ. ყარაჯალარი	557 71-33-75
28	კალინინოს ბაგა-ბაღი	აინურ მამედოვა	სოფ. კალინინო	577 42-48-61
29	ჯანდარის ბაგა-ბაღი	ელნარა მამეროვა	სოფ. ჯანდარა	577 97-05-22

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

2019 წლის „01" „09"

ვადასტურებთ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად ლაბორატორიული მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით გასაფორმებელ ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

ხელშეკრულების დადებაზე უფლებამოსილი პირი _____ ჯემალ დავითაძე

ინსპექტირების განმახორციელებელი პირი _____ გულიკო ავალიანი